საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება № 01-08/75

ქ. ბათუმი 22 დეკემბერი, 2016 წ

2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ნახიჩევანის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ყაზახეთის იურიდიულ უნივერსიტეტში მობილობის განხორციელების მიზნით ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა შესარჩევი საკონკურსო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 14 ნოემბრის №1106 ბრძანების, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2016 წლის 21 დეკემბრის MES 6 16 01517358 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ნახიჩევანის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ყაზახეთის იურიდიულ უნივერსიტეტში მობილობის განხორციელების მიზნით ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა შეჩევის მიზნით დამტკიცდეს საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) პროფ. მარინე გიორგაძე, ფაკულტეტის დეკანი;

ბ) ნანა ყურშუბაძე, საგარეო ურთიერთობათა სამსახურის უფროსი;

გ) თამარ სირაძე, ევროპეისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

დ) ნუნუ ჯაფარიძე, საგარეო ურთიერთობათა სამსახურის სპეციალისტი.

2. გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში ბსუ-ს სტუდენტთა მიერ წარმოდგენილი საბუთების შემოწმება/შეფასება საკონკურსო კომისიის მიერ განხორციელდეს 2016 წლის 22 დეკემბერს.
3. საკონკურსო კომისიის მიერ საკონკურსო კომისიის მუშაობის შედეგები წარმოდგენილი იქნეს და განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე არაუგვიანეს 2016 წლის 23 დეკემბერს.
4. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე და ბსუ-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოც. პროფესორი **მ. ხალვაში**